

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №155/04
2020 წლის 2 სექტემბერი

ქ. თბილისი

საბარათე ინსტრუმენტის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე ორგანული კანონის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს „საბარათე ინსტრუმენტის შესახებ დებულება“ თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საგადახდო ბარათების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 16 მაისის №38/04 ბრძანება.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

საბარათე ინსტრუმენტის შესახებ დებულება

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მიზანი და მოქმედების სფერო

1. საბარათე ინსტრუმენტის შესახებ დებულების (შემდგომში – დებულება) მიზანია საქართველოში საბარათე ინსტრუმენტის (მათ შორის, ელექტრონული ფულის ინსტრუმენტის) გამოშვების, მისი საშუალებით შესრულებული ოპერაციების განხორციელების პროცესში ჩართულ მხარეებს შორის ურთიერთობების მოწესრიგება, საგადახდო მომსახურების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, ასევე, მომხმარებელთა ნდობის ამაღლება საგადახდო ინსტრუმენტისა და უნაღდო გადახდების მიმართ.

2. ეს დებულება ვრცელდება საქართველოში ლიცენზირებულ კომერციულ ბანკებსა და მიკრობანკებზე, რეგისტრირებულ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და რეგისტრირებულ საგადახდო მომსახურების პროვაიდერებზე (შემდგომში – პროვაიდერი).

3. ეს დებულება განსაზღვრავს:

ა) ემიტენტის მიერ საბარათე ინსტრუმენტის გამოშვებისა და მომსახურების წესს;

ბ) ემიტენტსა და საბარათე ინსტრუმენტის მფლობელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითად პირობებს და ამ ხელშეკრულებაში გასათვალისწინებელ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს;

გ) ექვაირერის მიერ საბარათე ოპერაციების მომსახურების წესებს და პირობებს. ექვაირერის ვალდებულებებს მის მომსახურებაში მყოფი სავაჭრო/მომსახურების ობიექტის, ასევე, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი იურიდიული პირის - ემიტენტის მიმართ;



დ) სავაჭრო/მომსახურების ობიექტს და ექვარიერს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ექვარიერის მომსახურებიდან გამომდინარე ძირითად პირობებს და ამ ხელშეკრულებაში გასათვალისწინებელ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს;

ე) ექვარიერსა და საბარათე ოპერაციაში ჩართულ პირებს (სუბ-ექვარიერს, სავაჭრო პლატფორმის ორგანიზატორს) შორის ურთიერთობის გარკვეულ საკითხებს.

4. ეს დებულება მოქმედებს „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონთან, ასევე საგადახდო სისტემებთან და საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებულ საქართველოს სხვა ნორმატიულ აქტებთან ერთობლიობაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის ბრძანება №152/04 - ვებგვერდი, 28.06.2023 წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ დებულების მიზნებისთვის ამ დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) საბარათე ინსტრუმენტი – საგადახდო ინსტრუმენტი, მათ შორის, საგადახდო ბარათი, მობილური ტელეფონი, კომპიუტერი ან სხვა ტექნოლოგიური მოწყობილობა, რომელშიც ჩაწერილია/ინტეგრირებულია შესაბამისი საგადახდო აპლიკაცია და რომლის საშუალებით გადამხდელს შეუძლია განახორციელოს საბარათე ოპერაციის ინიცირება;

ბ) საგადახდო ბარათი (შემდგომში – ბარათი) – ემიტენტის მიერ გამოშვებული ელექტრონული საგადახდო ინსტრუმენტის კატეგორია, რომლის საშუალებით გადამხდელს შეუძლია განახორციელოს საბარათე ოპერაციის ინიცირება;

გ) საგადახდო აპლიკაცია – მოწყობილობაში ჩაწერილი პროგრამული უზრუნველყოფა ან მისი ეკვივალენტი, რომლითაც შესაძლებელია საბარათე ოპერაციის ინიცირება და გადამხდელის მიერ საგადახდო დავალების გაცემა;

დ) პერსონიფიცირებული ბარათი – ბარათი, რომელზეც ასახულია მფლობელის სახელი და გვარი ან სახელის ინიციალი და გვარი. ასევე, ბარათის მფლობელის სახელი და გვარი ჩაწერილია ბარათის მაგნიტურ ზოლზე ან/და მიკროჩიპში;

ე) არაპერსონიფიცირებული ბარათი – ბარათი, რომელიც არ არის პერსონიფიცირებული ბარათი;

ვ) სადებეტო ბარათი – საბარათე ინსტრუმენტი, რომელიც მის მფლობელს საშუალებას აძლევს ემიტენტ კომერციულ ბანკთან/მიკრობანკთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განკარგოს მის საბანკო ანგარიშზე არსებული ხელმისაწვდომი თანხები;

ზ) საკრედიტო ბარათი – საბარათე ინსტრუმენტი, რომელიც ემიტენტთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ბარათის მფლობელს საშუალებას აძლევს ოპერაციები განახორციელოს ემიტენტის მიერ მინიჭებული საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში, გარდა ოვერდრაფტისა;

თ) წინასწარი გადახდის ბარათი – საბარათე ინსტრუმენტი, რომლის საშუალებით ოპერაციები სრულდება მხოლოდ წინასწარ ჩარიცხული თანხის (ნომინალური ოდენობის ელექტრონული ფულის) ფარგლებში (საკრედიტო ლიმიტი არ დაიშვება);

ი) ვირტუალური ბარათი – ბარათის ფიზიკურად არსებობის გარეშე ბარათის რეკვიზიტების (სულ მცირე, ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა და უსაფრთხოების კოდი) ერთობლიობა, რომლის საშუალებით ავთენტიფიკაციის შესაბამისი ზომების დაცვით ბარათის მფლობელს შეუძლია განახორციელოს გადახდები ემიტენტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად;

კ) კომერციული ბარათი – იურიდიული პირისთვის ან მეწარმე ფიზიკური პირისთვის გამოშვებული საბარათე ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება მხოლოდ ამ პირის ხარჯებისთვის და რომლის საშუალებით შესრულებული საბარათე ოპერაციების ასახვა ხდება იურიდიული პირის ან მეწარმე ფიზიკური პირის კუთვნილ ანგარიშებზე;



ლ) მეწარმე ფიზიკური პირი – ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქმიანობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 36-ე მუხლის შესაბამისად;

მ) ბარათის მფლობელი – საბარათე ინსტრუმენტით მოსარგებლე იდენტიფიცირებული პირი;

ნ) ბარათის შემძენი:

ნ.ა) ფიზიკური პირი, რომელიც შეიძენს არაპერსონიფიცირებულ წინასწარი გადახდის ბარათს პირადი სარგებლობისთვის ან სხვა ფიზიკური პირისთვის სარგებლობაში გადასაცემად;

ნ.ბ) იურიდიული პირი, რომელიც შეიძენს არაპერსონიფიცირებულ წინასწარი გადახდის ბარათს ფიზიკური პირისთვის სარგებლობაში გადასაცემად;

ო) ემიტენტი – პროვაიდერი, რომელიც უშვებს საგადახდო ინსტრუმენტს, რომლითაც შესაძლებელია საბარათე ოპერაციის ინიცირება;

პ) საბარათე ანგარიში – ემიტენტ კომერციულ ბანკში/მიკრობანკში გახსნილი მომხმარებლის მიმდინარე ან მოთხოვნამდე დეპოზიტის ანგარიში, რომელზეც აისახება სადებეტო ბარათებით შესრულებული ოპერაციები, ასევე საკრედიტო ბარათით შესრულებული ოპერაციები, თუ ამ ოპერაციებისთვის მიმდინარე ან მოთხოვნამდე დეპოზიტის ანგარიშის ბალანსის შევსება ხდება სასესხო ანგარიშიდან. ასევე, პროვაიდერთან არსებული მომხმარებლის ელექტრონული საფულე (ელექტრონული ფულის ანგარიში), რომელზეც აისახება წინასწარი გადახდის ბარათებით შესრულებული ოპერაციები;

ჟ) საკრედიტო ბარათის ანგარიში – ემიტენტ კომერციულ ბანკში, მიკრობანკში ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში გახსნილი ანგარიში, რომელზეც აისახება საკრედიტო ბარათებით შესრულებული ოპერაციები;

რ) ხარჯვის ლიმიტი – ემიტენტის მიერ დადგენილი, განსაზღვრულ ვადაში ბარათის მეშვეობით ფულადი სახსრების განკარგვის ზღვრული თანხობრივი ოდენობა;

ს) საბარათე გადახდის ოპერაცია (შემდგომში – საბარათე ოპერაცია) – საბარათე სქემის მიხედვით საბარათე ინფრასტრუქტურის საშუალებით საბარათე ინსტრუმენტით, მათ შორის, ბარათის რეკვიზიტებით შესრულებული სადებეტო და საკრედიტო ოპერაციები, რომლის საფუძველზე ხდება ოპერაციის თანხის საბარათე/საკრედიტო ბარათის ანგარიშზე ასახვა/ბარათის ბალანსის ცვლილება;

ტ) პინი – ბარათის მფლობელის პერსონალური, კონფიდენციალური კოდი, რომელიც გამოიყენება როგორც ბარათის მფლობელის ავთენტიფიკაციის ერთ-ერთი ელემენტი;

უ) ბანკომატი – თვითმომსახურების ელექტრონული პროგრამულ-ტექნიკური მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ბარათის მფლობელს შეუძლია ნაღდი ფულის გატანა/შეტანა;

ფ) პოს-ტერმინალი – ელექტრონული პროგრამული უზრუნველყოფა ან/და ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება;

ფ.ა) პროვაიდერის მომსახურების ოფისიდან თანხის გასატანად;

ფ.ბ) სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში საბარათე ინსტრუმენტით გადახდის განსახორციელებლად, რომელიც საქონლის/მომსახურების საფასურის გადახდასთან ერთად (გარდა ელექტრონული კომერციის ოპერაციისა) შესაძლოა მოიცავდეს ნაღდი ფულის გატანასაც;

ქ) ემიტენტის 3D უსაფრთხოება – 3D Secure პროტოკოლზე აგებული სერვისი, რომლის საშუალებით ემიტენტი ელექტრონული კომერციის ტერმინალის მეშვეობით ინიცირებულ საბარათე ოპერაციაზე დასტურს გასცემს მხოლოდ ბარათის მფლობელის ავთენტიფიკაციის განხორციელების შემდეგ;

ღ) ექვაირერის 3D უსაფრთხოება – 3D Secure პროტოკოლზე აგებული სერვისი, რომლის საშუალებით



ელექტრონული კომერციის ტერმინალის ექვარიერი მიმართავს ემიტენტს ბარათის მფლობელის ავთენტიფიკაციის მოთხოვნით;

ყ) ელექტრონული კომერციის ტერმინალი – ექვარიერის სისტემაში რეგისტრირებული ვირტუალური პოს-ტერმინალი (პროგრამული უზრუნველყოფა), რომლის საშუალებით ინტერნეტსივრცეში ხორციელდება ელექტრონული კომერციის ობიექტის სასარგებლოდ საბარათე ოპერაცია, ასევე, ოპერაციის გაუქმების და თანხის დაბრუნების ოპერაციები;

შ) ელექტრონული კომერციის ობიექტი – სავაჭრო/მომსახურების ობიექტი, რომელიც თავისი საქონლის/მომსახურების გაყიდვას ახდენს ელექტრონული კომერციის ტერმინალით;

ჩ) სავაჭრო პლატფორმა – ელექტრონული კომერციის ერთ-ერთი ფორმა, როდესაც სხვადასხვა სავაჭრო/მომსახურების ობიექტი ახორციელებს თავისი საქონლის/მომსახურების გაყიდვას ერთი ვებ-გვერდიდან;

ც) სავაჭრო პლატფორმის ორგანიზატორი – კომერციული შუამავალი, რომელიც მართავს სავაჭრო პლატფორმას;

ძ) სავაჭრო/მომსახურების ობიექტი – იურიდიული პირი ან მეწარმე ფიზიკური პირი, რომელსაც ექვარიერთან ან სუბ-ექვარიერთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ექვარიინგის მომსახურებაზე;

წ) უკონტაქტო საბარათე ინსტრუმენტი – საბარათე ინსტრუმენტი, რომელიც ინფორმაციას გადასცემს უკონტაქტო გადაცემის ტექნოლოგიით;

ჭ) საბარათე ქვითარი – ბანკომატის ან პოს-ტერმინალის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საქონლის/მომსახურების საფასურის გადახდას, საბარათე ინსტრუმენტის საშუალებით ნაღდი ფულის გაცემას ან სხვა საბარათე ოპერაციის განხორციელებას, ასევე აღნიშნული ოპერაციების წარმატებით განუხორციელებლობის შემთხვევაში ასახავს შესაბამის ინფორმაციას;

ბ) ექვარიინგი – საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს სავაჭრო ან/და მომსახურების ობიექტთან ან სხვა პირთან (სავაჭრო პლატფორმის ორგანიზატორთან, სუბ-ექვარიერთან) გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ელექტრონულ-ტექნიკური საშუალებით, საგადახდო ინსტრუმენტის მეშვეობით გადახდის ოპერაციის, საგადახდო ინსტრუმენტის რეკვიზიტებით ინტერნეტგადახდის ოპერაციის, საგადახდო ინსტრუმენტის მეშვეობით ნაღდი ფულის გატანის ოპერაციის განხორციელებას და შესაბამის ანგარიშსწორებას;

ჯ) ექვარიერი – ექვარიინგის განმახორციელებელი პროვაიდერი;

ჰ) სუბ-ექვარიინგი – საქმიანობა, რომელიც მოიცავს პროვაიდერის მიერ ექვარიერთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში სავაჭრო/მომსახურების ობიექტებთან ხელშეკრულების გაფორმებას და მათთან ანგარიშსწორებას;

ჰ¹) სუბ-ექვარიერი – პროვაიდერი, რომელიც ახორციელებს სუბ-ექვარიინგს;

ჰ²) ოფლაინ ოპერაცია – ოპერაცია, რომელიც დადასტურებული ან უარყოფილია ემიტენტთან დაკავშირების გარეშე;

ჰ³) ონლაინ ოპერაცია – ოპერაცია, რომელიც დადასტურებული ან უარყოფილია ემიტენტის ან შესაბამისი საბარათე სქემის მიერ ემიტენტის სახელით;

ჰ⁴) საბარათე სქემა – საერთაშორისო საბარათე სქემები (Visa, MasterCard, UnionPay, American Express და სხვა) და ლოკალური საბარათე სქემები, რომლებსაც გააჩნიათ საერთო წესების, ტექნიკური სტანდარტების და დანერგვის სახელმძღვანელოების ერთობლიობა, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება საბარათე ოპერაციის დამუშავება, ასევე იგი მოიცავს გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს ან პირს, რომელიც პასუხისმგებელია სქემის ფუნქციონირებაზე. საბარათე სქემა არ მოიცავს ტექნიკურ ინფრასტრუქტურას და საგადახდო სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს საბარათე



ოპერაციის შესრულებას;

3⁵) ლოკალური საბარათე სქემა – საქართველოში მოქმედი პროვაიდერის და/ან საგადახდო სისტემის ოპერატორის მიერ შემუშავებული საბარათე სქემა, რომლის მიხედვით საბარათე ოპერაციების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოში მოქმედი პროვაიდერის საბარათე ინსტრუმენტის მიმღებ მოწყობილობებში;

3⁶) სავაჭრო/მომსახურების ობიექტის კოდი ან MCC – ISO 18245 სტანდარტით სავაჭრო/მომსახურების ობიექტის საქმიანობების ჭრილში დადგენილი ოთხნიშნა კოდი;

3⁷) სავაჭრო/მომსახურების ობიექტის საკომისიო – საკომისიო, რომელსაც სავაჭრო/მომსახურების ობიექტი უხდის ექვაირერს საბარათე ოპერაციების შესრულებისთვის;

3⁸) ქო-ბრენდი – ერთსა და იმავე საბარათე ინსტრუმენტზე სულ მცირე ერთი საგადახდო ბრენდის და სულ მცირე ერთი არასაგადახდო ბრენდის არსებობა;

3⁹) საგადახდო ბრენდი – მატერიალური ან ციფრული დასახელება, ტერმინი, ნიშანი, სიმბოლო ან მათი კომბინაცია, რომელთა საშუალებით შესაძლებელია იმ საბარათე სქემის განსაზღვრა, რომლითაც სრულდება საბარათე ოპერაციები;

3¹⁰) ქო-ბეჯინგი – საგადახდო ინსტრუმენტზე ორი ან მეტი საგადახდო ბრენდის ან ერთი საგადახდო ბრენდის ორი ან მეტი საგადახდო პროგრამული უზრუნველყოფის არსებობა;

3¹¹) გადახარჯვა – მომხმარებლის არაპირდაპირი თანხმობის საფუძველზე ავტომატურად დაშვებული იმ ოდენობის ოვერდრაფტი, რომელიც აღემატება მომხმარებლის საბარათე ანგარიშზე არსებულ თანხას ან/და ცალსახად შეთანხმებული ოვერდრაფტის, ან საკრედიტო ბარათის შემთხვევაში – საკრედიტო ლიმიტის ოდენობას.

2. ამ დებულებაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მნიშვნელობები.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის ბრძანება №152/04 - ვებგვერდი, 28.06.2023 წ.

თავი II

საბარათე ინსტრუმენტის გამოშვება

მუხლი 3. ემიტენტის ზოგადი ვალდებულებები

1. კომერციულ ბანკს და მიკრობანკს უფლება აქვს გამოუშვას ყველა ტიპის (სადებეტო, საკრედიტო, წინასწარი გადახდის) ბარათი, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას – საკრედიტო ბარათი, ხოლო რეგისტრირებულ საგადახდო მომსახურების პროვაიდერს – წინასწარი გადახდის ბარათი.

2. საერთაშორისო საბარათე სქემის საბარათე ინსტრუმენტის გამოშვების შემთხვევაში, ემიტენტი ვალდებულია აღნიშნული მომსახურების დაწყებამდე არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე საქართველოს ეროვნულ ბანკს (შემდგომში – ეროვნული ბანკი) წარუდგინოს ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს, რომ ემიტენტს გააჩნია შესაბამისი რესურსი, კვალიფიკაცია და მექანიზმები აღნიშნული მომსახურების შეუფერხებლად განხორციელებისთვის, ასევე ამ მომსახურებასთან დაკავშირებული რისკების სამართავად.

3. თუ ემიტენტი გეგმავს ქო-ბრენდისა და ქო-ბეჯინგის პროდუქტების დანერგვას, ვალდებულია აღნიშნული მომსახურების დაწყებამდე არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე ეროვნულ ბანკს წარუდგინოს აღნიშნული პროდუქტის (პროდუქტების) აღწერა.

4. ემიტენტი ვალდებულია შეიმუშაოს საბარათე ინსტრუმენტის გაცემის პოლიტიკა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად უნდა მოიცავდეს მომხმარებლის პროფილიდან გამომდინარე: შესაბამისი საბარათე პროდუქტის გადაცემას, ოპერაციების ლიმიტების განსაზღვრას, გარკვეული ოპერაციების



შეზღუდვას და სხვა. ემიტენტმა უნდა უზრუნველყოს თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტების (MCC-ის ქრილში) ჩამონათვალი, რომელთანაც ოპერაციების განხორციელების შესახებ მომხმარებლის თანხმობის მიღება უნდა განხორციელდეს საბარათე ინსტრუმენტის გააქტიურებამდე. თუ მომხმარებლის მიერ თანხმობა გაცემული იყო მაღალრისკიან სავაჭრო/მომსახურების ობიექტებთან ოპერაციების განხორციელებაზე, მას ნებისმიერ მომენტში უნდა ჰქონდეს აღნიშნული თანხმობის გაუქმების საშუალება. საბარათე ინსტრუმენტის გადაცემის შემდეგ, ემიტენტი უფლებამოსილია მაღალრისკიან სავაჭრო/მომსახურების ობიექტებთან ოპერაციების განხორციელებაზე მომხმარებლის თანხმობა მიიღოს უშუალოდ თავისი მომსახურების ოფისებში ან დისტანციურად მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაციის საფუძველზე. ემიტენტმა პერიოდულად უნდა განახორციელოს ამ პუნქტით განსაზღვრული პოლიტიკის ფარგლებში დადგენილი წესებისა და პროცედურების გადახედვა რეალიზებული და მოსალოდნელი რისკების გათვალისწინებით.

5. თუ ემიტენტი მომხმარებლისთვის საბარათე ინსტრუმენტის ან ბარათის რეკვიზიტების გადაცემას მესამე მხარის საშუალებით ახორციელებს, ემიტენტი ვალდებულია საკუთარ თავზე აიღოს საგადახდო ინსტრუმენტის ან/და მისი პერსონიფიცირებული უსაფრთხოების მახასიათებლებისა და საშუალებების გაგზავნასთან დაკავშირებული ყველა რისკი.

6. ემიტენტი ვალდებულია:

ა) გადასცეს საბარათე ინსტრუმენტის მფლობელს/ბარათის შემძენს საბარათე ინსტრუმენტით სარგებლობის წესი და რეკომენდაციები საბარათე ინსტრუმენტის სარგებლობასთან დაკავშირებით ან მიუთითოს საჯაროდ ხელმისაწვდომი წყარო, სადაც განთავსებულია აღნიშნული ინფორმაცია;

ბ) გააცნოს საბარათე ინსტრუმენტის მფლობელს/ბარათის შემძენს საბარათე ინსტრუმენტის სარგებლობის პირობების დაცვის მნიშვნელობა და გაუწიოს რეკომენდაციები საბარათე ინსტრუმენტის უსაფრთხო გამოყენებასთან დაკავშირებით;

გ) მიიღოს ყველა შესაძლო ზომა საბარათე ინსტრუმენტის დაცულობისა და მისი არამართლზომიერი გამოყენების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად;

დ) პერიოდულად განახორციელოს საგადახდო ინსტრუმენტის მფლობელის საკონტაქტო ინფორმაციის ვერიფიკაცია და მიიღოს გონივრული ზომები არავერიფიცირებული საკონტაქტო ინფორმაციის განსაახლებლად.

7. ემიტენტს უნდა გააჩნდეს საჩივრის განხილვის პროცედურები. ემიტენტი ვალდებულია განიხილოს საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის საჩივარი განხორციელებულ ოპერაციასთან დაკავშირებით საჩივრის წარდგენიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღისა. თუ პროვაიდერისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო აღნიშნულ ვადაში ვერ ხერხდება საჩივრის განხილვა და მასზე გადაწყვეტილების მიღება, ემიტენტი ვალდებულია აცნობოს საბარათე ინსტრუმენტის მფლობელს დაგვიანების დასაბუთებული მიზეზი, საჩივრის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების ვადა. საჩივარზე გადაწყვეტილების მიღებისა და საბარათე ინსტრუმენტის მფლობელისთვის გაცნობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს საჩივრის მიღებიდან 55 სამუშაო დღეს.

8. საბარათე ინსტრუმენტით საქართველოში შესრულებული სადავო ტრანზაქციის განხილვის პროცესში ემიტენტი ვალდებულია დაუკავშირდეს ექვარიერს ან საბარათე ოპერაციაში ჩართულ სხვა მხარეს განხორციელებული ოპერაციის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ემიტენტისთვის სადავო ტრანზაქციის ყველა დეტალი და გარემოება ცნობილია.

9. ემიტენტს ასევე ეკისრება პასუხისმგებლობა საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის მიმართ, თუ:

ა) მის მიერ ან მისი აუთსორსინგული კომპანიის მიერ უსაფრთხოების პროცედურების დაუცველობის შედეგად საბარათე ინსტრუმენტთან დაკავშირებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდა მესამე პირისთვის;

ბ) უშუალოდ მისი პროგრამულ-ტექნიკური ხარვეზის გამო საბარათე ინსტრუმენტის მფლობელმა განიცადა დანაკლისი.



მუხლი 4. საბარათე ინსტრუმენტის მომსახურების ხელშეკრულების პირობები

1. ემიტენტი ვალდებულია საბარათე ინსტრუმენტის მფლობელთან გააფორმოს საბარათე ინსტრუმენტის მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომელშიც საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებთან ერთად გათვალისწინებული უნდა იყოს:

ა) საბარათე ინსტრუმენტის დასახელება, საბარათე სქემა და ბარათის ტიპი;

ბ) საბარათე ინსტრუმენტის, მათ შორის, ბარათის ფუნქციონალით აღჭურვილი აქსესუარების (სტიკერი, სამაჯური, საათი და სხვა) და საგადახდო აპლიკაციის გამოყენების წესი, უსაფრთხოების პირობები, შეზღუდვები, კონკრეტულ პროდუქტთან ან მომსახურებასთან დაკავშირებული პროვაიდერის მიერ დაწესებული ყველა შესაძლო საკომისიო და მისი გამოთვლის პრინციპი;

გ) საბარათე ინსტრუმენტის (მათ შორის, აქსესუარის, საგადახდო აპლიკაციის) უსაფრთხოების მოთხოვნები. ასევე, ბარათის ტიპიდან გამომდინარე არსებული შესაძლო რისკები (მათ შორის, საგადახდო აპლიკაციის, უკონტაქტო ბარათის/საბარათე ინსტრუმენტის და ბარათის ფუნქციონალით აღჭურვილი აქსესუარების გამოყენებასთან დაკავშირებული რისკები);

დ) მხარეთა უფლება-მოვალეობები, მათ შორის, საბარათე ინსტრუმენტის მფლობელისგან საბარათე ინსტრუმენტის/საბარათე მონაცემების, მობილურის, აქსესუარის დაკარგვის ან მოპარვის, ან არაავტორიზებული ოპერაციის განხორციელებაზე ინფორმაციის მიღების შემდგომ ემიტენტის ვალდებულებები და პასუხისმგებლობა (მათ შორის, „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროვაიდერის ვალდებულება და პასუხისმგებლობა);

ე) საბარათე ინსტრუმენტის/საბარათე მონაცემების, მობილურის, აქსესუარის დაკარგვის, მოპარვის ან არაავტორიზებული ოპერაციის განხორციელებაზე ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის მიერ განსახორციელებელი ქმედებები (მათ შორის, „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საგადახდო მომსახურების მომხმარებლის ვალდებულებები);

ვ) საბარათე სქემის მიერ დადგენილი საბარათე ინსტრუმენტით განხორციელებადი ყველა ოპერაციის ხასიათი/მახასიათებლები ან შესაძლო შედეგი (ონლაინ, ოფლაინ, ავტომატურად განმეორებადი (რეკურენტული), გადახარჯვა და სხვა) და ამ ოპერაციების ჭრილში საბარათე ინსტრუმენტის მფლობელისა და პროვაიდერის ვალდებულება და პასუხისმგებლობა;

ზ) საბარათე ოპერაციების განხორციელებიდან მათი ანგარიშზე ასახვის ვადებზე ინფორმაცია. ასევე, კონვერტაციის პირობები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას კონვერტაციისას გამოყენებული კურსის წყაროს და თარიღის შესახებ ამ დებულების მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად;

თ) საბარათე ინსტრუმენტით წარმოებული ოპერაციების გასაჩივრების ვადები და წარსადგენი თანხლები ინფორმაციის ჩამონათვალი;

ი) საჩივრის განხილვის პროცედურა და ვადა;

კ) განსაკუთრებული და ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, საჩივრის განხილვის ვადის გახანგრძლივების შესახებ საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის ინფორმირების ვალდებულება;

ლ) შესრულებულ ოპერაციებზე ინფორმაციის და/ან ანგარიშის ამონაწერის მიწოდების პირობები;

მ) ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 6 იანვრის №1/04 ბრძანებით დამტკიცებული „საგადახდო მომსახურების განხორციელებისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესით“ განსაზღვრული პირობები.



2. ამ დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საბარათე ინსტრუმენტის შემთხვევაში, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების გაფორმების ნაცვლად ემიტენტმა ინსტრუმენტის მომხმარებელს უნდა გადასცეს მხოლოდ საბარათე ინსტრუმენტით სარგებლობის პირობები და წესები ან მიუთითოს საჯაროდ ხელმისაწვდომი წყარო, სადაც განთავსებულია აღნიშნული ინფორმაცია.

მუხლი 5. ბარათის რეკვიზიტები

ბარათებზე (გარდა არაუმეტეს 10 ლარის გადახდების (შემდგომში – მიკროგადახდები) განხორციელების მიზნით გამოშვებული ბარათებისა და ვირტუალური ბარათებისა) მითითებული უნდა იყოს სულ მცირე შემდეგი მონაცემები:

ა) ბარათის (მათ შორის, დამატებითი ბარათის) მფლობელის სახელი (ან სახელის ინიციალი) და გვარი (გარდა არაპერსონიფიცირებული ბარათისა);

ბ) ბარათის მოქმედების ვადა;

გ) საბარათე სქემის/საგადახდო ბრენდის და ემიტენტის დასახელება ან/და მათი ლოგოტიპები;

დ) ბარათის მფლობელის ხელმოწერის ადგილი (გარდა ჩიპიანი ბარათებისა);

ე) ემიტენტის ცხელი ხაზის ნომერი.

მუხლი 6. საბარათე ანგარიშების განკარგვა

1. ერთი და იმავე საბარათე ანგარიშიდან ფულადი სახსრების/საკრედიტო ბარათის ანგარიშიდან საკრედიტო ლიმიტის განკარგვა შეიძლება რამდენიმე სხვადასხვა საბარათე ინსტრუმენტით (დამატებითი ბარათით/საბარათე ინსტრუმენტით).

2. სადებეტო ბარათზე შესაძლებელია კომერციულმა ბანკმა და მიკრობანკმა დაუშვას ოვერდრაფტი წინასწარ განსაზღვრული თანხის ფარგლებში.

3. საბარათე ინსტრუმენტით გადახდის შესრულების ფაქტობრივი თარიღი შეიძლება განსხვავდებოდეს საბარათე ანგარიშებზე/საკრედიტო ბარათის ანგარიშებზე მისი ასახვის თარიღისაგან.

4. საბარათე ინსტრუმენტით განხორციელებულ ოპერაციებზე პასუხისმგებელია საბარათე ინსტრუმენტის მფლობელად ემიტენტთან იდენტიფიცირებული პირი, გარდა არაავტორიზებული ან არასწორად შესრულებული ტრანზაქციისა.

5. საბარათე ანგარიშის მფლობელთან შეთანხმებით სადებეტო ბარათის/საბარათე ინსტრუმენტის საშუალებით ოპერაციების შესასრულებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის იმავე კომერციულ ბანკში/მიკრობანკში არსებული სხვა მიმდინარე ან/და მოთხოვნამდე დეპოზიტის ანგარიშებზე არსებული თანხა. ანგარიშებზე არსებული თანხების გამოყენების თანმიმდევრობას განსაზღვრავს საბარათე ანგარიშის მფლობელი. თუ ეს ტექნიკურად შეუძლებელია, მაშინ პროვაიდერი ვალდებულია დაადგინოს მომხმარებლისათვის ყველაზე ხელსაყრელი თანმიმდევრობა.

6. თუ საბარათე ინსტრუმენტით შესაძლებელია სხვადასხვა ვალუტის თანხის გამოყენება, საბარათე ოპერაციების ანგარიშზე ასახვა უნდა განხორციელდეს პირველ რიგში იმ ვალუტაში, რა ვალუტაშიც განხორციელდა ოპერაცია. თუ მომხმარებელს არ აქვს საბარათე ოპერაციის ვალუტის თანხა შესაბამის საბარათე ანგარიშზე/საკრედიტო ბარათის ანგარიშზე და ამ ოპერაციის ანგარიშსწორება განხორციელდა საბარათე სქემის მიერ, მაშინ ოპერაციის ასახვა ანგარიშზე უნდა განხორციელდეს საბარათე სქემის ანგარიშსწორების ვალუტაში.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული ვალუტების საბარათე ანგარიშზე/საკრედიტო ბარათის ანგარიშზე არარსებობის შემთხვევაში ან ამ ვალუტებში ოპერაციის სრული ოდენობის თანხის არარსებობის შემთხვევაში, ემიტენტი უფლებამოსილია განახორციელოს კონვერტაცია შესაბამის საბარათე ანგარიშზე/საკრედიტო ბარათის ანგარიშზე არსებული ვალუტიდან. ამ შემთხვევაში, კონვერტაცია უნდა განხორციელდეს მხოლოდ ოპერაციის თანხის სრულ ოდენობამდე შევსების მიზნით.



8. თუ საბარათე ოპერაციის განხორციელება დაკავშირებულია კონვერტაციასთან, ემიტენტმა უნდა უზრუნველყოს საბარათე ინსტრუმენტის მფლობელისათვის კონვერტაციის პირობების გამჭვირვალობა ოპერაციის ინიცირებიდან მის ანგარიშზე ასახვამდე. კონვერტაციის პროცესის გამჭვირვალობის მიზნით, ემიტენტმა უნდა შეიმუშაოს და მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი გახადოს სქემა, რომელიც ასახავს სხვადასხვა ვალუტების ჭრილში ინიცირებული ოპერაციის თანხის შესაძლო კონვერტაციების ჯაჭვს შესაბამისი კურსების წყაროების მითითებით.

9. საბარათე ინსტრუმენტის გააქტიურების შემდეგ ემიტენტი:

ა) ვალდებულია შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხული ფულადი სახსრები ხელმისაწვდომი გახადოს საბარათე ინსტრუმენტის მფლობელისთვის/ბარათის შემძენისათვის ინსტრუმენტისთვის განსაზღვრული პირობებით, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ბ) საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის, გარდა დამატებითი ბარათის მფლობელისა, (არაიდენტიფიცირებულ/არავერიფიცირებულ ფიზიკურ პირზე გაცემული წინასწარი გადახდის ბარათის შემთხვევაში ამ ბარათის წარმომდგენის), მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს ბარათით წარმოებული ოპერაციების და ნაშთის შესახებ ინფორმაციის გადაცემა.

10. საბარათე ინსტრუმენტით შესრულებული ოპერაციების შესახებ ინსტრუმენტის მფლობელის ამონაწერი ან მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი სხვა ჩანაწერები უნდა შეიცავდეს შემდეგ ძირითად ინფორმაციას:

ა) საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის ანგარიშის ნომერს და/ან ბარათის არასრულ ნომერს;

ბ) ვალუტას;

გ) ამონაწერის პერიოდის დასაწყისში არსებულ ნაშთს;

დ) შესრულებული ოპერაციის (სადებეტო/საკრედიტო) თანხას;

ე) ოპერაციის შესრულების თარიღს, დროს და ადგილს (ბანკომატის შემთხვევაში – მისამართს);

ვ) სავაჭრო/მომსახურების ობიექტის დასახელებას და MCC;

ზ) ამონაწერის პერიოდის ბოლოს არსებულ ნაშთს;

თ) თუ ოპერაცია დაკავშირებული იყო კონვერტაციასთან/კონვერტაციებთან, კონვერტაციის კურსი/კურსები (საბარათე სქემის კურსი ან/და კომერციული ბანკის/მიკრობანკის კურსი).

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის ბრძანება №152/04 - ვებგვერდი, 28.06.2023 წ.

მუხლი 7. ელექტრონული ფულის საბარათე ინსტრუმენტი

1. პროვაიდერი უფლებამოსილია, ეროვნულ ბანკთან შეთანხმების შემდეგ, არაიდენტიფიცირებულ/არავერიფიცირებულ ფიზიკურ პირზე გასცეს წინასწარი გადახდის ბარათი/საბარათე ინსტრუმენტი, თუ ეს ინსტრუმენტი აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) ინსტრუმენტით შესაძლებელია ფულადი სახსრების გადარიცხვა მხოლოდ საქონლის ან მომსახურების საფასურის გადახდის მიზნით;

ბ) ინსტრუმენტზე შეუძლებელია, დროის ნებისმიერ მომენტში, შენახულ იქნეს ელექტრონული ფული, რომლის ოდენობა აღემატება 500 ლარს ან უცხოურ ვალუტაში მის ეკვივალენტს;

გ) ინსტრუმენტით ნებადართული ფულადი სახსრების გადარიცხვების ჯამური ოდენობა თვეში არ აღემატება 500 ლარს, თუ ინსტრუმენტის გამოყენება მხოლოდ საქართველოშია შესაძლებელი ან ინსტრუმენტზე შესაძლებელია ელექტრონული ფულის მხოლოდ ერთჯერადად განთავსება/ჩარიცხვა;



დ) ინსტრუმენტზე ანონიმური ელექტრონული ფულის ჩარიცხვა დაუშვებელია;

ე) ინსტრუმენტის ემიტენტი ახორციელებს საქმიანი ურთიერთობის მონიტორინგს საეჭვო გარიგებების გამოსავლენად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული თანხობრივი ზღვარი, ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით, შეიძლება გაიზარდოს 1500 ლარამდე, თუ ინსტრუმენტის გამოყენება მხოლოდ საქართველოშია შესაძლებელი.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი არ გავრცელდება ელექტრონული ფულის ინსტრუმენტზე, რომელიც ჯამურად 150 ლარზე ან უცხოურ ვალუტაში მის ეკვივალენტზე მეტი ფულადი სახსრების ნაღდი ფორმით გატანის ან დაბრუნების შესაძლებლობას იძლევა.

4. ემიტენტს უფლება აქვს გამოუშვას ისეთი არაპერსონიფიცირებული წინასწარი გადახდის ბარათი, რომელიც ითვალისწინებს შემქმნის მიერ ამ ბარათის სხვა ფიზიკური პირისთვის სარგებლობაში გადაცემას. აღნიშნული ბარათი უნდა აკმაყოფილებდეს ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების მოთხოვნებს.

მუხლი 8. ემიტენტის სხვა ვალდებულებები

1. პროვაიდერი ვალდებულია, დაიცვას საბარათე ინსტრუმენტის მფლობელთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა კანონმდებლობის შესაბამისად.

2. საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის, ასევე დამატებითი ბარათის მფლობელის, იდენტიფიცირების/ვერიფიცირების პროცედურები, ასევე საბარათე ინსტრუმენტით განხორციელებული ტრანზაქციების მონიტორინგი უნდა განხორციელდეს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის და მის საფუძველზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის და ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების მოთხოვნების შესაბამისად.

3. პროვაიდერი ვალდებულია აღრიცხოს და შეინახოს ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი ვადით მის მიერ გაცემული ყველა ტიპის საბარათე ინსტრუმენტის მფლობელებისა და ამ ინსტრუმენტების საშუალებით განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ.

4. პროვაიდერის მიერ დროის ნებისმიერ მომენტში შესაძლებელი უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი ვადის დაცვით შენახული საბარათე ინსტრუმენტის მფლობელების საიდენტიფიკაციო მონაცემების, ასევე კონკრეტული საბარათე ინსტრუმენტით ან/და მისი მფლობელის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მიღება.

მუხლი 9. საბარათე ინსტრუმენტის დაბლოკვა

1. საბარათე ინსტრუმენტის/საბარათე მონაცემების, მობილურის, აქსესუარის დაკარგვის, მოპარვის, მითვისების ან მისი საშუალებით არაავტორიზებული ოპერაციის შესრულების ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, პროვაიდერი ვალდებულია უშუალოდ ან აუტოსორსინგული კომპანიის საშუალებით უზრუნველყოს ბარათის მფლობელისაგან შეტყობინების ნებისმიერ დროს მიღების შესაძლებლობა.

2. საბარათე ინსტრუმენტის/საბარათე მონაცემების, მობილურის, აქსესუარის დაკარგვის, მოპარვის, მითვისების ან მისი საშუალებით არაავტორიზებული ოპერაციის შესრულების ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, ბარათის მფლობელი ვალდებულია ფაქტის აღმოჩენიდან უმოკლეს ვადაში აცნობოს ემიტენტს ან ემიტენტის მიერ განსაზღვრულ პირს აღნიშნულის თაობაზე, ხოლო ემიტენტი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს საბარათე ინსტრუმენტის შემდგომი გამოყენების აღკვეთა/დაბლოკვა.

3. პროვაიდერი უფლებამოსილია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს საბარათე ინსტრუმენტის შემდგომი გამოყენების აღკვეთა ან დროებით დაბლოკვა, თუ მას აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ საბარათე ინსტრუმენტით შესაძლოა ხორციელდებოდეს არაავტორიზებული ოპერაციები. აღნიშნულ შემთხვევაში პროვაიდერი ვალდებულია ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს საბარათე ინსტრუმენტის მფლობელს.



თავი III ექვარინგი

მუხლი 10. ექვარიერის საქმიანობა

1. ექვარიერი და სუბ-ექვარიერი უფლებამოსილია მომსახურება გაუწიოს სავაჭრო/მომსახურების ობიექტს, რომლის მიმართაც გაატარა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის და მის საფუძველზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის და ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ღონისძიებები და მიიღო სარწმუნო ინფორმაცია სავაჭრო/მომსახურების ობიექტის საქმიანობის შესახებ.

2. ექვარიერი უფლებამოსილია მოემსახუროს სავაჭრო/მომსახურების ობიექტებს სხვა საგადახდო მომსახურების პროვაიდერის (სუბ-ექვარიერის) საშუალებით, თუ ეს პირი ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი, მიკრობანკი ან რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერია. ამასთან, ექვარიერი ვალდებულია:

ა) ექვარიინგის მომსახურების შესაბამისი თანხა ჩაურიცხოს მასთან ან სხვა კომერციულ ბანკში/მიკრობანკში გახსნილ სუბ-ექვარიერის ანგარიშზე, საიდანაც სუბ-ექვარიერი განახორციელებს თანხის გადარიცხვას უშუალოდ სავაჭრო/მომსახურების ობიექტების ანგარიშებზე. თუ ანგარიში გახსნილია სხვა კომერციულ ბანკში/მიკრობანკში, მაშინ ექვარიერი უნდა დარწმუნდეს, რომ აღნიშნული კომერციული ბანკი/მიკრობანკი ინფორმირებულია სუბ-ექვარიერის მიერ ამ ანგარიშის გამოყენების მიზნობრიობაზე;

ბ) დარწმუნდეს სუბ-ექვარიერის ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ პოლიტიკის ადეკვატურობაში;

გ) რისკზე დამყარებული მიდგომიდან გამომდინარე, ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტების მიმართ გაატაროს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის და მის საფუძველზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის და ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები და მიიღოს სარწმუნო ინფორმაცია სავაჭრო/მომსახურების ობიექტის საქმიანობის შესახებ.

3. სავაჭრო/მომსახურების ობიექტთან ხელშეკრულების გაფორმებამდე ან განახლებისას ექვარიერი/სუბ-ექვარიერი ვალდებულია დარწმუნდეს, რომ ეს პირი ეწევა კანონიერ საქმიანობას და გააჩნია საკმარისი საშუალებები საბარათე ინსტრუმენტისა და საბარათე ოპერაციის მონაცემების დასაცავად.

4. ექვარიერი ვალდებულია უზრუნველყოს სავაჭრო/მომსახურების ობიექტისთვის მისი საქმიანობის შესაბამისი MCC-ის მინიჭება.

5. თუ ექვარიერი ემსახურება სავაჭრო პლატფორმას, მაშინ იგი ვალდებულია:

ა) თითოეული სავაჭრო/მომსახურების ობიექტის მიმართ გაატაროს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის და მის საფუძველზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის და ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები და მიიღოს სარწმუნო ინფორმაცია თითოეული სავაჭრო/მომსახურების ობიექტის საქმიანობის შესახებ;

ბ) მოახდინოს სადავო ოპერაციების მართვა თითოეული სავაჭრო/მომსახურების ობიექტის სახელით;

გ) თავად განახორციელოს სავაჭრო/მომსახურების ობიექტების ანგარიშზე თანხების გადარიცხვა სავაჭრო პლატფორმის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გარეშე ან ჩაურიცხოს სავაჭრო პლატფორმას ექვარიინგის მომსახურების შესაბამისი თანხა მასთან ან სხვა კომერციულ ბანკში/მიკრობანკში გახსნილ ანგარიშზე, საიდანაც სავაჭრო პლატფორმა განახორციელებს თანხის გადარიცხვას უშუალოდ სავაჭრო/მომსახურების ობიექტების ანგარიშებზე; თუ სავაჭრო პლატფორმის ანგარიში გახსნილია სხვა კომერციულ ბანკში/მიკრობანკში, მაშინ ექვარიერი უნდა დარწმუნდეს, რომ აღნიშნული კომერციული ბანკი/მიკრობანკი ინფორმირებულია სავაჭრო პლატფორმის მიერ ამ ანგარიშის გამოყენების



მიზნობრიობაზე და ასევე, უზრუნველყოს სავაჭრო პლატფორმის შესაბამისი ანგარიშის ამონაწერების პერიოდულად მოთხოვნა და ამ ანგარიშიდან სავაჭრო/მომსახურების ობიექტებთან განხორციელებული გადახდის ოპერაციების შესაბამისობის გადამოწმება მისი სისტემის ჩანაწერებთან;

დ) უზრუნველყოს სავაჭრო/მომსახურების ობიექტებთან ამ დებულების მე-12 მუხლის შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება უშუალოდ ან სავაჭრო პლატფორმის საშუალებით.

6. ექვარიერი უფლებამოსილია ექვარიინგის მომსახურება გაუწიოს უცხოური კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილ სავაჭრო/მომსახურების ობიექტს ან მის ფილიალს/წარმომადგენლობას, უცხოური კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილ სავაჭრო პლატფორმას ან ისეთ სავაჭრო პლატფორმას, რომელიც ემსახურება უცხოური კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილ სავაჭრო/მომსახურების ობიექტს ან მის ფილიალს/წარმომადგენლობას, თუ მას აქვს ადეკვატური მექანიზმები „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის და მის საფუძველზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის და ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების მოთხოვნების შესასრულებლად; აღნიშნული მექანიზმების აღწერა წარდგენილი უნდა იქნეს ეროვნულ ბანკში მომსახურების დაწყებამდე არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე.

7. სუბ-ექვარიერი, რომელიც გეგმავს უცხოური კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი სავაჭრო/მომსახურების ობიექტების სუბ-ექვარიინგის მომსახურების დანერგვას, ვალდებულია ეროვნულ ბანკში მომსახურების დაწყებამდე არაუგვიანეს 30 კალენდარული დღით ადრე წარადგინოს დოკუმენტაცია, რითაც იგი ადასტურებს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის და მის საფუძველზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის და ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების მოთხოვნების შესასრულებლად მის ხელთ არსებული ადეკვატური მექანიზმების არსებობას.

8. ექვარიერი და სუბ-ექვარიერი უნდა დარწმუნდეს, რომ სავაჭრო/მომსახურების ობიექტი საქონლის/მომსახურების შეთავაზებას/გაყიდვას ახორციელებს საკუთარი ვებგვერდის ან მათ მომსახურებაში მყოფი სავაჭრო პლატფორმის ვებგვერდის საშუალებით, ასევე ექვარიერი ან/და სუბ-ექვარიერი უნდა დარწმუნდეს და მონიტორინგი განახორციელოს, რომ სავაჭრო/მომსახურების ობიექტი რეალურად ახორციელებს იმ საქონლის/მომსახურების რეალიზაციას, რომელიც მითითებული აქვს ექვარიერთან, სუბ-ექვარიერთან ან/და სავაჭრო პლატფორმასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ამასთან, ექვარიერი და სუბ-ექვარიერი სავაჭრო/მომსახურების ობიექტის ტრანზაქციების მონიტორინგის საფუძველზე უნდა დარწმუნდეს, რომ სავაჭრო/მომსახურების ობიექტის ანგარიშზე ექვარიინგის ხელშეკრულების შესაბამისად ჩარიცხული თანხების რეალური ბენეფიციარი/მიმღები არის ექვარიერთან/სუბ-ექვარიერთან/სავაჭრო პლატფორმასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი სავაჭრო/მომსახურების ობიექტი.

9. ექვარიერი უფლებამოსილია ექვარიინგის მომსახურება გაუწიოს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილ სავაჭრო/მომსახურების ობიექტს მისთვის ანგარიშის გაუხსნელად. აღნიშნულ შემთხვევაში, ექვარიერმა უნდა უზრუნველყოს სავაჭრო/მომსახურების ობიექტისთვის მისი კუთვნილი თანხის ჩარიცხვა საქართველოში ლიცენზირებულ კომერციულ ბანკში ან მიკრობანკში გახსნილ ამ სავაჭრო/მომსახურების ობიექტის მიმდინარე ანგარიშზე ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში ამ სავაჭრო/მომსახურების ობიექტის სახაზინო კოდეზე. აღნიშნული თანხის გადარიცხვა უნდა განხორციელდეს ექვარიერის მიერ შესაბამისი ანგარიშსწორების თანხის მიღებიდან (ჩარიცხვიდან) არაუგვიანეს მეორე საბანკო დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სავაჭრო/მომსახურების ობიექტის ოპერაცია საექვოდ იქნა მიჩნეული. ექვარიერს უნდა გააჩნდეს კონკრეტული ოპერაციის საექვოდ მიჩნევის დასაბუთებული საფუძველი. ამ პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შემთხვევაში, ექვარიერი ვალდებულია წარადგინოს შესაბამისი მომსახურების აღწერა ეროვნულ ბანკში მომსახურების დაწყებამდე არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე.

10. ექვარიერს/სუბ-ექვარიერს უნდა გააჩნდეს მის მომსახურებაში მყოფი სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში (მათ შორის, ელექტრონული კომერციის ობიექტებში) შესრულებული ოპერაციების ეფექტური მონიტორინგის სისტემები თაღლითური ოპერაციების/მოწყობილობების/პროგრამული უზრუნველყოფის აღმოჩენის მიზნით. ექვარიერი მუდმივად უნდა ახორციელებდეს მონიტორინგის



სისტემის განახლებას იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მიმდინარე პერიოდამდე საერთაშორისო და/ან ადგილობრივ პრაქტიკაში დაფიქსირებული თაღლითური სქემების ამოცნობა და პრევენცია. ექვარიერმა პერიოდულად უნდა უზრუნველყოს მონიტორინგის პროგრამებთან მომუშავე პერსონალის ტრენინგი.

11. ექვარიერს უნდა გააჩნდეს საქმიანობის განხორციელების ნებართვები შესაბამისი საბარათე სქემებიდან.

12. ექვარიერი, რომელიც ინახავს თავის ინფრასტრუქტურაში ან გადასცემს მისი საშუალებით სხვა პროვაიდერის მიერ გამოშვებული ბარათების მონაცემებს, ვალდებულია 2 (ორ) წელიწადში ერთხელ განხორციელოს ამ ინფრასტრუქტურის/საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი აუდიტი. ინფრასტრუქტურის/საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების აუდიტი უნდა განხორციელდეს საგადახდო ბარათების ინდუსტრიის მონაცემთა უსაფრთხოების სტანდარტებთან შესაბამისობაზე ფართოდ აღიარებული აუდიტორული კომპანიის მიერ.

13. ექვარიერს ეკისრება პასუხისმგებლობა ემიტენტის მიმართ, თუ:

ა) მის მომსახურებაში მყოფი სავაჭრო/მომსახურების ობიექტის მიერ უსაფრთხოების პროცედურების დაუცველობის შედეგად ბარათთან დაკავშირებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდა მესამე პირისთვის;

ბ) მის მომსახურებაში მყოფი ბანკომატის ან პოს-ტერმინალის გაუმართაობის ან სხვა პროგრამულ-ტექნიკური ხარვეზის გამო ბარათის მფლობელმა ბარათით ოპერაციის განხორციელების შედეგად განიცადა დანაკლისი;

გ) ელექტრონული კომერციის ტერმინალის მონიტორინგის სისტემების არარსებობის ან/და ადეკვატური მონიტორინგის სისტემების უქონლობის გამო, ექვარიერის მიერ ვერ განხორციელდა სავაჭრო/მომსახურების ობიექტისთვის უჩვეულო ტრანზაქციების ამოცნობა და პრევენცია.

14. ექვარიერი ვალდებულია სავაჭრო/მომსახურების ობიექტი უზრუნველყოს საბარათე ინსტრუმენტით გადახდების მისაღებად საჭირო ყველა ინფორმაციითა და საშუალებით, მოამზადოს სავაჭრო/მომსახურების ობიექტის შესაბამისი პერსონალი, პერიოდულად ჩაუტაროს მათ ტრენინგები და გადაამზადოს ახალი პერსონალი.

15. ექვარიერი ვალდებულია, განიხილოს ემიტენტის მიერ მიწოდებული საჩივარი განხორციელებული არაავტორიზებული ოპერაციის შესახებ. ქართული საბარათე ინსტრუმენტით საქართველოში განხორციელებული ოპერაციების შესახებ საჩივრის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 15 სამუშაო დღეს. ეს ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს ემიტენტთან შეთანხმებით განსაკუთრებული და ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, არაუმეტეს 25 სამუშაო დღით.

16. სადავო ტრანზაქციის დროს, ექვარიერი ვალდებულია გამოიკვლიოს მის მომსახურებაში მყოფი სავაჭრო/მომსახურების ობიექტში ან ბანკომატში მომხდარი ინციდენტის ან/და არაავტორიზებული ოპერაციების მიზეზი. მას აკისრია მტკიცების ტვირთი ემიტენტის წინაშე იმის თაობაზე, რომ ეს ინციდენტი/არაავტორიზებული ოპერაციები არ იყო გამოწვეული მის მომსახურებაში არსებული მოწყობილობის ან სავაჭრო/მომსახურების ობიექტის მიზეზით.

17. ელექტრონული კომერციის ობიექტის ექვარიერმა უნდა უზრუნველყოს ელექტრონული კომერციის ობიექტის ვებგვერდიდან გადახდების წარმოება მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაციის ან ერთჯერადი კოდის გამოყენების საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული „მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაციის წესის“ შესაბამისად.

18. დაუშვებელია ელექტრონული კომერციის ობიექტში საქონლის/მომსახურების შეძენის დროს ტრანზაქციის განხორციელება ოფლაინ რეჟიმში.

19. ექვარიერი უფლებამოსილია თავის მომსახურებაში არსებული ბანკომატით მომხმარებელს შესთავაზოს ისეთი ოპერაციების წარმოება, როგორცაა ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ



ინფორმაციის მიღება, გადახდების ინიცირება და სხვა. ექვარიერი ასევე უფლებამოსილია მომხმარებელს შესთავაზოს ბარათიდან ბარათზე თანხის გადარიცხვის სერვისი (P2P ოპერაციები).

20. თუ ექვარიერი გეგმავს სავაჭრო/მომსახურების ობიექტში პოს-ტერმინალით განახორციელოს საქონლის/მომსახურების საფასურის გადახდასთან ერთად საბარათე ინსტრუმენტიდან თანხის განაღდებაც, მაშინ ის ვალდებულია ეროვნულ ბანკში წარადგინოს მომსახურების აღწერა მომსახურების დაწყებამდე არაუგვიანეს 30 კალენდარული დღით ადრე. დაუშვებელია სავაჭრო/მომსახურების ობიექტში განთავსებული პოს-ტერმინალით მხოლოდ ნაღდი ფულის გატანის ოპერაციის განხორციელება.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 27 ივნისის ბრძანება №152/04 - ვებგვერდი, 28.06.2023 წ.

მუხლი 11. ექვარიერის მიერ გადამხდელისათვის და სავაჭრო/მომსახურების ობიექტისათვის მისაწოდებელი ინფორმაცია

1. ექვარიერმა უნდა უზრუნველყოს, რომ გადამხდელი პოს-ტერმინალით ან ბანკომატით ოპერაციის (მათ შორის, ელექტრონული კომერციის ოპერაციის) ინიცირების პროცესში ეკრანზე ხედავდეს ოპერაციის თანხას და ვალუტას.

2. თუ ექვარიერი გადამხდელს სთავაზობს ვალუტის გაცვლის მომსახურებას, მაშინ მან ბანკომატში ან სავაჭრო მომსახურების ობიექტში (მათ შორის, ელექტრონული კომერციის ობიექტში) განთავსებულ პოს-ტერმინალში საბარათე ოპერაციის ინიცირებამდე გადამხდელს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებული ყველა სახის საკომისიოსა და გაცვლითი კურსის შესახებ.

3. თითოეული საბარათე ოპერაციის შესახებ ექვარიერი ვალდებულია სავაჭრო/მომსახურების ობიექტისთვის ხელმისაწვდომი გახადოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ტრანზაქციის უნიკალური კოდი, რომელიც სავაჭრო/მომსახურების ობიექტს მისცემს საშუალებას მოახდინოს საბარათე ოპერაციის იდენტიფიცირება;

ბ) სავაჭრო/მომსახურების ობიექტის ანგარიშზე ჩასარიცხი საბარათე ოპერაციის თანხა და ვალუტა.

4. ექვარიერსა და სავაჭრო/მომსახურების ობიექტს შორის ხელშეკრულების საფუძველზე წინასწარი შეთანხმების შემთხვევაში ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია შესაძლოა სავაჭრო/მომსახურების ობიექტისთვის ხელმისაწვდომი იყოს პერიოდულად, სულ მცირე თვეში ერთხელ და იმგვარად, რომ სავაჭრო/მომსახურების ობიექტს შეეძლოს მისი შენახვა და უცვლელად გამრავლება.

მუხლი 12. სავაჭრო/მომსახურების ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულების ძირითადი პირობები

1. ექვარიერი ვალდებულია თითოეულ სავაჭრო/მომსახურების ობიექტთან გააფორმოს ხელშეკრულება უშუალოდ ან სხვა პროვაიდერის (სუბ-ექვარიერის) საშუალებით, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ აუცილებელ მოთხოვნებთან ერთად უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

ა) სავაჭრო/მომსახურების ობიექტის დასახელება და საქმიანობის სფერო;

ბ) მომსახურების ტიპი და მისი აღწერა (ფიზიკური პოს-ტერმინალით, ელექტრონული კომერციის ტერმინალით, გადახდის თვითმომსახურების კიოსკით და სხვა);

გ) საბარათე ინსტრუმენტის გადახდის საშუალებად მიღების წესები;

დ) ოპერაციის შესრულებისათვის დადგენილი ლიმიტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გარდა ექვარიერის რისკების მართვის პოლიტიკიდან გამომდინარე ლიმიტებისა;

ე) სავაჭრო/მომსახურების ობიექტის ვალდებულებები საბარათე ოპერაციის უსაფრთხოების ზომების დაცვასთან დაკავშირებით;

ვ) სავაჭრო/მომსახურების ობიექტის ვალდებულება, რომ საბარათე ოპერაციის განხორციელებამდე



გადამხდელისათვის თვალსაჩინო გახადოს ოპერაციის თანხა პოს-ტერმინალის ეკრანის ან პოს-ტერმინალთან ინტეგრირებული სხვა ეკრანის საშუალებით, ხოლო ელექტრონული კომერციის ოპერაციის შემთხვევაში – კომპიუტერის, ტელეფონის, პლანშეტის ან სხვა მოწყობილობის ეკრანის საშუალებით;

ზ) სავაჭრო/მომსახურების ობიექტის მიერ განსახორციელებელი პროცედურები საექვო ოპერაციის შემთხვევაში, მათ შორის:

ზ.ა) ოპერაციის განხორციელების მცდელობა ვადაგასული, დაბლოკილი ან სტანდარტული რეკვიზიტების არმქონე ბარათით;

ზ.ბ) ბარათზე მისი მფლობელის ხელმოწერის არარსებობა, ბარათზე ხელმოწერის ზოლის არსებობის შემთხვევაში;

ზ.გ) მაგნიტური ზოლით ოპერაციის შესრულებისას, ბარათზე შესრულებული ხელმოწერის ოპერაციის ქვითარზე შესრულებულ ხელმოწერასთან შეუსაბამობა;

თ) სავაჭრო/მომსახურების ობიექტის მიერ გადასახდელი საკომისიო და მისი გამოთვლის პრინციპი;

ი) საბარათე ოპერაციის განხორციელების დღიდან სავაჭრო/მომსახურების ობიექტის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის ვადა, რომელიც არ უნდა იყოს ექვარიერის/სუბ-ექვარიერის მიერ შესაბამისი თანხის მიღებიდან მეორე სამუშაო დღეზე მეტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ობიექტის ოპერაცია ექვარიერის/სუბ-ექვარიერის მიერ საექვოდ იქნა მიჩნეული;

კ) სავაჭრო/მომსახურების ობიექტის მიერ საბარათე ოპერაციის შესრულებაზე უარის თქმის საფუძვლები;

ლ) არასწორად შესრულებულ საბარათე ოპერაციებთან, თანხის უკან დაბრუნებასთან და სადავო საკითხებთან დაკავშირებით სავაჭრო/მომსახურების ობიექტის და ექვარიერის ვალდებულებები;

მ) სავაჭრო/მომსახურების ობიექტთან ურთიერთობის დროს ექვარიერის ვალდებულებები ამ დებულების მე-10 და მე-11 მუხლების შესაბამისად.

2. ექვარიერი ვალდებულია პერიოდულად შეამოწმოს სავაჭრო/მომსახურების ობიექტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაცვა. თუ ობიექტი სისტემატურად არღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებს, ექვარიერი ვალდებულია განიხილოს სავაჭრო/მომსახურების ობიექტის მომსახურების შეწყვეტის საკითხი.

3. ექვარიერმა უნდა უზრუნველყოს სავაჭრო/მომსახურების ობიექტის წვდომა მის სასარგებლოდ განხორციელებულ ოპერაციებზე, იმგვარად რომ სავაჭრო/მომსახურების ობიექტს შესაძლებლობა ჰქონდეს გამოითვალოს მის მიერ გადასახდელი საკომისიო და ოპერაციებზე ინფორმაცია შეადაროს/გადაამოწმოს მის შიდა სისტემაში აღრიცხულ ოპერაციებთან.

4. თუ ექვარიერი სავაჭრო/მომსახურების ობიექტს ემსახურება სავაჭრო პლატფორმის მეშვეობით, მაშინ იგი ვალდებულია გააფორმოს უშუალოდ სავაჭრო/მომსახურების ობიექტებთან ორმხრივი ან სავაჭრო პლატფორმასთან და სავაჭრო/მომსახურების ობიექტთან სამხრივი მომსახურების ხელშეკრულება. ორივე შემთხვევაში გაფორმებული ხელშეკრულება უნდა აკმაყოფილებდეს ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებებს.

მუხლი 13. საბარათე ქვითარი

1. პოს-ტერმინალში (გარდა ელექტრონული კომერციის ტერმინალისა) საბარათე ინსტრუმენტით განხორციელებული ოპერაციის დამადასტურებელი საბარათე ქვითარი (მათ შორის, ელექტრონული) უნდა შეიცავდეს შემდეგ ძირითად რეკვიზიტებს:

ა) სავაჭრო/მომსახურების ობიექტის იურიდიულ დასახელებას/სავაჭრო დასახელებას ან ნიშანს და მისამართს, სადაც განხორციელდა ოპერაცია (სასურველია ტელეფონის ნომრის მითითება);

ბ) პროვაიდერის (ექვარიერის) დასახელებას;



გ) ოპერაციის შესრულების თარიღს და დროს;

დ) ტერმინალის იდენტიფიკატორს (ID);

ე) შესრულებული ოპერაციის თანხას და ვალუტას (თუ საქონლის/მომსახურების შექმნასთან ერთად განხორციელდა ნაღდი თანხის გატანა, მაშინ აღნიშნული თანხები მითითებული უნდა იყოს ცალ-ცალკე);

ვ) საბარათე ოპერაციის დასტურის კოდს;

ზ) ბარათის რეკვიზიტებს (ბარათის არასრული ნომერი ან შესაბამისი თოქენი);

თ) ბარათის მფლობელის ხელმოწერას (ბარათის მფლობელის ხელმოწერა არ არის სავალდებულო, თუ გადახდის ოპერაცია სრულდება პინ-კოდის საშუალებით ან უკონტაქტო ტექნოლოგიით და თანხის ოდენობა არ აღემატება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 2 სექტემბრის №156/04 ბრძანებით დამტკიცებული „მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაციის წესის“ მე-13 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ უკონტაქტო ერთი ტრანზაქციისთვის განსაზღვრულ თანხის ზედა ზღვარს).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები არ ვრცელდება პოსტ-ტერმინალებზე, სადაც მხოლოდ მიკრო (არაუმეტეს 10 ლარისა) გადახდების განხორციელებაა შესაძლებელი.

3. ოპერაციის განხორციელების შედეგად ბანკომატის მიერ გაცემული საბარათე ქვითარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) ბანკომატის მფლობელი ექვაირერის დასახელება;

ბ) ოპერაციის შესრულების თარიღი და დრო;

გ) ბანკომატის იდენტიფიკატორი (ID) და მისამართი;

დ) შესრულებული ოპერაციის თანხა და ვალუტა;

ე) საბარათე ოპერაციის დასტურის კოდი;

ვ) ბარათის რეკვიზიტები (ბარათის არასრული ნომერი ან შესაბამისი თოქენი).

4. ელექტრონული კომერციის ოპერაციის შედეგად გაცემული ელექტრონული ქვითარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) ელექტრონული კომერციის ობიექტის დასახელება და მისამართი (ქალაქი, ქვეყანა);

ბ) პროვაიდერის (ექვაირერის) დასახელება;

გ) ოპერაციის განხორციელების თარიღი და დრო;

დ) ელექტრონული კომერციის ობიექტის ვებგვერდის მისამართი;

ე) ოპერაციის თანხა და ვალუტა;

ვ) საბარათე ოპერაციის დასტურის კოდი;

ზ) ბარათის რეკვიზიტები (ბარათის არასრული ნომერი ან შესაბამისი თოქენი).



მუხლი 14. ეროვნული ბანკის უფლებამოსილება

ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ამ დებულების მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით, მე-10 მუხლის მე-6, მე-7, მე-9 და მე-20 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში პროვაიდერს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია და/ან დოკუმენტაცია და განუსაზღვროს მას ვადა აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარსადგენად.

თავი IV გარდამავალი დებულებები

მუხლი 15. გარდამავალი დებულებები

1. 2021 წლის პირველ ივნისამდე ემიტენტი ვალდებულია უზრუნველყოს ამ დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში საბარათე ინსტრუმენტის შეზღუდვის შესაძლებლობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულება.

2. 2020 წლის პირველ ოქტომბრამდე ემიტენტი ვალდებულია შეიმუშაოს ამ დებულების მე-3 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული პროცედურა.

3. 2020 წლის პირველ დეკემბრამდე ემიტენტი ვალდებულია უზრუნველყოს საბარათე ინსტრუმენტის მფლობელებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისობა ამ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

4. ემიტენტი ვალდებულია, ამ დებულების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების დანერგვის შემთხვევაში, 2020 წლის პირველი ნოემბრიდან უზრუნველყოს ამავე დებულების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი ანგარიშებზე არსებული თანხების გამოყენების თანმიმდევრობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

5. 2020 წლის პირველი ნოემბრიდან ემიტენტი ვალდებულია უზრუნველყოს ამ დებულების მე-6 მუხლის მე-6-მე-8 პუნქტებთან შესაბამისობა.

6. 2020 წლის პირველ ნოემბრამდე ექვარიერი ვალდებულია ეროვნულ ბანკს წარუდგინოს ამ დებულების ამოქმედებამდე დანერგილი, ამავე დებულების მე-10 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების შესახებ ინფორმაცია.

7. 2021 წლის პირველი აპრილიდან ექვარიერი ვალდებულია უზრუნველყოს ამ დებულების მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება სავაჭრო/მომსახურების ობიექტებისათვის.

8. 2021 წლის პირველ ივნისამდე ექვარიერი ვალდებულია უზრუნველყოს სავაჭრო/მომსახურების ობიექტებთან (მათ შორის, ამ დებულების მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სავაჭრო პლატფორმის მეშვეობით) ელექტრონული ფორმით უკვე გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისობა ამ დებულების მე-12 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. თუ ექვარიერს ამ დებულების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მიღებული აქვს სარწმუნო ინფორმაცია სავაჭრო/მომსახურების ობიექტის საქმიანობის შესახებ, უკვე გაფორმებული ხელშეკრულებების მიმართ არ ვრცელდება ამ დებულების მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სავაჭრო/მომსახურების ობიექტის საქმიანობის სფეროს ხელშეკრულებაში განსაზღვრის ვალდებულება.

8¹. 2021 წლის პირველ სექტემბრამდე ექვარიერი ვალდებულია უზრუნველყოს სავაჭრო/მომსახურების ობიექტებთან (მათ შორის, ამ დებულების მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სავაჭრო პლატფორმის მეშვეობით) მატერიალური ფორმით უკვე გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისობა ამ დებულების მე-12 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. თუ ექვარიერს ამ დებულების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მიღებული აქვს სარწმუნო ინფორმაცია სავაჭრო/მომსახურების ობიექტის საქმიანობის შესახებ, უკვე გაფორმებული ხელშეკრულებების მიმართ არ ვრცელდება ამ დებულების მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სავაჭრო/მომსახურების ობიექტის



საქმიანობის სფეროს ხელშეკრულებაში განსაზღვრის ვალდებულება. ექვარიერი ვალდებულება მის ხელთ არსებული საშუალებებით სავაჭრო/მომსახურების ობიექტს წინასწარ, 2021 წლის 1 ივნისამდე, მიაწოდოს ინფორმაცია ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

9. 2021 წლის პირველი აპრილიდან ექვარიერი ვალდებულება უზრუნველყოს ამ დებულების მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.

10. ემიტენტი და ექვარიერი ვალდებულნი არიან ამ დებულების მე-3 მუხლის მე-7 პუნქტით და მე-10 მუხლის მე-15 პუნქტით განსაზღვრული საჩივრის განხილვის ვადებთან დაკავშირებული მოთხოვნები შეასრულონ 2020 წლის პირველი ოქტომბრიდან.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 25 თებერვლის ბრძანება №26/04 - ვებგვერდი, 26.02.2021 წ.

